ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2426704

ნომერი: AR1375929

თარიღი : 04.02.2016

გაცემის თარიღი : 10.02.2016

გაცნობის თარიღი : 11.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 33 ; ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ კანდელაკი პ/ნ 01026011514
- თბილისი, ნეკერჩხლის ქუჩა N1, ბ.12

ორგანიზაცია:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი+ კოდი: 202950226

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ღიობების რეკონსტრუქცია და ფასადის შეღებვა) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, პეკინის გამზირი #33, შ.პ.ს. "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი+"-ის კუთვნილი ფართების ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ღიობების რეკონსტრუქცია და ფასადის შეღებვა) განხორციელებას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014712787 05/01/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.10.13.013.002.01.034 და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014712798 31/12/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.10.13.013.002.01.033; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, პეკინის გამზირი #33, შ.პ.ს. "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი+"-ის კუთვნილი ფართების ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ღიობების რეკონსტრუქცია და ფასადის შეღებვა) განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.